გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №3ბ/2198-11

17 თებერვალი 2012 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

თავმჯდომარე - ნანა ჭიჭილეიშვილი

მოსამართლეები - თეა ძიმისტარაშვილი

მერაბ ლომიძე

სხდომის მდივანი - ბეატრიჩე პაპანდოპულოვი

აპელანტი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"

წარმომადგენელი - სერგი ჯორბენაძე

მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო)

წარმომადგენელი – ნანა ბღარაშვილი

დავის საგანი - ქმედების განხორციელება, ზიანის ანაზღაურება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა:

1. აპელანტის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"-ს სარჩელი მოპასუხისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალებისა და მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2011 წლის 2 მაისს მოსარჩელემ №20110541, №20110542, №20110543, №№20110544 განცხადებებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა შემდეგი ინფორმაციის გაცემა:

ა) განცხადების წარდგენის მომენტისათვის სამინისტროს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდეობობის პირთა ჩამონათვალი (თანამდებობის პირთა ვინაობა (სახელი და გვარი) და თანამდებობის სახელწოდება);

ბ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული კულტურული და სარეკლამო ხასიათის ღონისძიებათა ამომწურავი ჩამონათვალი (სია);

გ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია);

დ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტების მითითებით), რომელიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს (სია);

ე) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამშრომელთა მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზონები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;

ვ) სამინისტროს სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომელთა მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;

ზ) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამდებობის პირთა (ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეთა) ოფიციალურ და სამუშაო, მათ შორის საერთაშორისო ვიზიტებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;

თ) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) ბალანსზე რიცხული ავტომანქანების პერსონალური გადანაწილება (მათ შორის – ავტომანქანის მოდელი) თანამდებობის პირებზე ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე;

ი) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი და ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი (მათ შორის – საწვავის ტიპი) 2011 წლის პირველის კვარტლის (სამი თვე) განმავლობაში;

კ) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა 2011 წლის პირველი კვარტლის (სამი თვე) განმავლობაში;

ლ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო;

მ) საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია;

ნ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი);

ო) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასების და დანამატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

პ) სამინისტროს სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და დანამატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

ჟ) სამინისტროს ცენტრალური აპარატრის თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) დარიცხული პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

რ) სამინისტროს სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) დარიცხული პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე).

2.2. ვინაიდან მოპასუხეს მოთხოვნილი ინფორმაცია კანონით დადგენილ ვადაში არ გაუცია, მოსარჩელემ 2011 წლის 9 ივნისს ადმინისტრაციული საჩივარი წარუდგინა მინისტრს, იმავე მოთხოვნებით, რაც წარმოადგენს წინამდებარე სასარჩელო დავის საგანს. ადმინისტრაციული საჩივარი კანონით დადგენილი წესით განხილული არ ყოფილა.

2.3. სარჩელი წარმოდგენილ იქნა სასამართლოში 2011 წლის 5 აგვისტოს.

2.4. მოპასუხის 08.11.2011წ. №2/03-10717 წერილით მოსარჩელეს მიეწოდა შემდეგი ინფორმაცია: სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 534 ერთეულს, შტატგარეშე მოსამსახურეების - 7 ერთეულს; გაცემული ხელფასებისა და პრემიების ოდენობა - 1225845 ლარი; საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯი - 4648,91 ლარი; ავტოტექმომსახურებაზე გაწეული ხარჯი - 10076 ლარი; საგანმანათლებლო ღონისძიების, კერძოდ - თანამშრომელთა ტრენინგების ხარჯები - 1760 ლარი; სამივლინებო ხარჯების საერთო რაოდენობა - 9688 ლარი; სამინისტროს საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე ირიცხება შემდეგი ავტომანქანები: Toyota Land Cruizer - 3 ერთეული, Skoda Octavia - 11 ერთეული, Volkswagen Passat CC, Toyota Camry, Audi A8, Toyota Hight Lux, Mercedes-Benz - 4 ერთეული. სამინისტროს ბიუჯეტიდან განხორციელებულ პროექტებზე ხარჯები არ არის გაწეული; სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს თეიმურაზ რიჟამაძე (საკონტაქტო ტელ. 2312747 (127)).

2.5. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge) განთავსებულია ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის (მათ შორის -

მოპასუხე სამინისტროს) მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული ყველა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ინფორმაცია.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

სამართლის ნორმები, რომლებითაც იხელმძღვანელა სასამართლომ

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი:
24-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

33[1]-ე მუხლი: თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი:
მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის ,,მ" ქვეპუნქტი: საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

მუხლი 47:

1. პირს აქვს უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;

ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის;

გ) პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისას, აგრეთვე მათი სხვა პირისა ან საჯარო დაწესებულებისათვის უკანონოდ გადაცემისას;

დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

2. მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს.

საქართველოს კანონი ,,ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ":

მე-2 მუხლის ,,ა", ,,ბ", ,,გ" და ,,ვ" ქვეპუნქტები:

ა) მონაცემი – ფაქტებისა და იდეების წარმოდგენა ფორმალიზებული სახით, რომელიც მათ გამოსადეგს ხდის საინფორმაციო პროცესში გადაცემისა და დამუშავებისათვის;

ბ) მონაცემის მფლობელი – პირი ან ორგანიზაცია, რომელიც გასცემს კონკრეტული მონაცემის ხელმისაწვდომობის უფლებამოსილებას და ვალდებულია შეინარჩუნოს მონაცემის სისწორე, ერთიანობა და დროულობა;

გ) მონაცემის დამუშავება – მონაცემის შეგროვება, ჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, ნახვა, ამოღება, გამოყენება, გადაცემა, კომბინირება, დახურვა, წაშლა ან განადგურება, ან ამ ქმედებების ნებისმიერი ერთობლიობა, ქმედების განხორციელების ან გამოყენებული საშუალების მიუხედავად;

ვ) რეესტრის სუბიექტი – ადმინისტრაციული ორგანო, სამედიცინო ან ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მონაცემების შექმნას, შეცვლას, წაშლას ან განადგურებას.

მე-10 მუხლი: რეესტრის სუბიექტს უფლება აქვს, მის მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზაში, რეესტრში, ინფორმაციულ სისტემასა და მომსახურების გაწევის პროცესში შეაგროვოს (დაამუშაოს) მხოლოდ ისეთი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა შემდეგი:

2.6. ქმედების განხორციელების თაობაზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების კანონისმიერი პირობა კუმულატიურია: 1. უარი ქმედების განხორციელებაზე უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო; 2. ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს (პუნქტი 5.1.2). ერთ-ერთი ამ ელემენტის არარსებობისას სარჩელის დაკმაყოფილება გამოირიცხება.

2.7. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ადმინისტრაციული ორგანო (საინფორმაციო რეესტრის სუბიექტი) ვალდებულია - შეაგროვოს (დაამუშავოს) ისეთი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით. სასამართლოს მოსაზრებით, ,,მონაცემების (ინფორმაციის) დამუშავებაში" იგულისხმება რაიმე გარკვეული ნიშნით ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (ინფორმაციის) მოძიება, შესწავლა და სისტემატიზაცია, მათი უბრალო, მექანიკური თავმოყრის სახით და არა მათი ლოგიკური სინთეზის მეშვეობით ახალი დოკუმენტის შექმნა.

2.8. ამდენად, თუ საჯარო დაწესებულებას დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მზა სახით არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით განისაზღვრება 2 პირობა, როდესაც დაწესებულება ვალდებულია - დაამუშავოს ინფორმაცია: ა) შეაგროვოს

(დაამუშავოს) ისეთი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით; ბ) ინფორმაცია (მონაცემები) სისტემატიზდება მათი უბრალო, მექანიკური თავმოყრით, რაც არ უნდა იწვევდეს მათი ლოგიკური სინთეზით ახალი დოკუმენტის შექმნას.

2.9. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა ისეთი სახით, რაც გულისხმობდა მოპასუხის მიერ მზა სახით არარსებული ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას და მოძიებული მონაცემების სინთეზის გზით ახალი დოკუმენტების შექმნას, ამასთან - ისეთ პირობებში, როდესაც არ არის დასაბუთებული ასეთი სახით ინფორმაციის დამუშავების აუცილებლობა მოპასუხის მიერ თავისი ფუნქციის შესრულებისათვის, აგრეთვე - არც მოპასუხის საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები ითვალისწინებს ამგვარი დამუშავების ვალდებულებას. შესაბამისად, გარდა მოსარჩელისათვის ფაქტობრივად გადაცემული ინფორმაციისა, დანარჩენი ინფორმაციის გაცემაზე მოპასუხის უარი არ ეწინააღმდეგება კანონს, რის გამოც არ არსებობს ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი კანონისმიერი პირობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილის საჯაროობა (ხელმისაწვდომობა) უკვე უზრუნველყოფილია სხვა საშუალებებით.

2.10. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გამო ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მოსარჩელეს ინფორმაციის გაცემაზე უკანონოდ ეთქვა უარი და ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანის დადგომა. არც ერთი მითითებული კომპონენტი სახეზე არ არის: მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარი კანონიერია, ამასთან - არ დგინდება მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის არსებობის ფაქტიც, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"-ს სააპელაციო საჩივარი ემყარება შემდეგ გარემოებებს:

3.1. აპელანტის განმარტებით, გადაწყვეტილება არაა იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან სამინისტროს მიერ აბსოლუტურად სხვა სახის საკითხზე იქნა პასუხი გაცემული, რომელიც დავის საგანს არ წარმოადგენდა. სასამართლომ კი აღნიშნული სრულყოფილად გაცემულ საჯარო ინფორმაციად ჩათვალა. იურიდიულად შეუძლებელია მართებულად იყოს აღნიშნული დასაბუთებული, ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაცია ეხება პირველ კვარტალში არსებულ საკითხებს, ხოლო სასამართლომ პასუხი გასცა 2011 წლის მეორე კვარტალზე, რომელიც აბსოლუტურად არაა კავშირში დავის საგანთან.

სააპელაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი წერილი არ წარმოადგენს სახელმწიფო უშიშროების, ან საზოგადოებრივი აუცილებლობის უსაფრთხოების

აუცილებლობის შემცველ ინფორმაციაზე პასუხის მიღების მოთხოვნას, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ვალდებული იყო პასუხი გაეცა მასზე. უკიდურეს შემთხვევაში, თუ იგი პასუხს საიდუმლოებად მიიჩნევდა, აღნიშნული აუცილებლად უნდა ეცნობებინა ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის. საჯარო დაწესებულებამ კანონით გათვალისწინებულ ვადებში არ გასცა ინფორმაცია, შესაბამისად, მისი უმოქმედობა წარმოადგენს კანონმდებლობის ნორმათა დარღვევას.

3.2. აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და 40-ე მუხლები, რომლის საფუძველზეც საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია მის მომთხოვნზე. ამასთან, მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტით, დაწესებულება ვალდებულია ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტები მოიძიოს და დაამუშაოს. სიტყვაში „დამუშავება" არ იგულისხმება განსხვავებული საქმიანობის განხორციელება. ამ შემთხვევაში იგულისხმება კონკრეტული ინფორმაციის შეგროვება, რომლითაც საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს მიეწოდება შესაბამისი პასუხი. აქ აბსოლუტურად გაუაზრებელი ცნებაა ეგრეთ წოდებული „ლოგიკური სინთეზი". საჯარო დაწესებულებაში აღირიცხება ყველა ის საქმიანობა, რაც მის ფინანსებთან და სხვა საკითხებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, 2011 წლის პირველი კვარტლის მონაცემები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში უნდა იყოს დაცული, რადგანაც ეს დოკუმენტები არსებობს. ესე იგი, მისი გაცემა შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ხოლო თუ დოკუმენტის გაცემაა შესაძლებელი, ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია განახორციელოს ამგვარი ქმედება. შესაბამისად, ინსტიტუტისათვის სამინისტროს უნდა მიეწოდებინა თითოეულ პუნქტზე მოთხოვნილი ინფორმაცია სრულყოფილი სახით და არა კონკრეტული ციფრები, რომელიც 2011 წლის მეორე კვარტალს ეხება.

3.3. ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პროექტ -„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" უპირველეს საქმიანობას სწორედ საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია და მისი ვებ-გვერდზე განთავსება წარმოადგენს. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს უმოქმედობით, ინსტიტუტმა აღნიშნული ვერ განახორციელა. აქედან გამომდინარე, შეილახა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

3.4. აპელანტის აზრით, საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი, „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, ასევე არ გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით. ამრიგად, გადაწყვეტილება არაა საკმარისად დასაბუთებული, ხოლო ის, რაც დასაბუთებულია, იმდენად არასამართლიანადაა ჩამოყალიბებული, რომ მისი კანონთან შესაბამისობის დადგენა შეუძლებელია.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" პუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

ფაქტობრივი დასაბუთება

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. 2011 წლის 2 მაისს მოსარჩელემ №20110541, №20110542, №20110543, №№20110544 განცხადებებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა შემდეგი ინფორმაციის გაცემა:

ა) განცხადების წარდგენის მომენტისათვის სამინისტროს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდეობობის პირთა ჩამონათვალი (თანამდებობის პირთა ვინაობა (სახელი და გვარი) და თანამდებობის სახელწოდება);

ბ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული კულტურული და სარეკლამო ხასიათის ღონისძიებათა ამომწურავი ჩამონათვალი (სია);

გ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია);

დ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტების მითითებით), რომელიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს (სია);

ე) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამშრომელთა მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზონები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;

ვ) სამინისტროს სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომელთა მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;

ზ) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამდებობის პირთა (ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეთა) ოფიციალურ და სამუშაო, მათ შორის საერთაშორისო ვიზიტებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;

თ) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) ბალანსზე რიცხული ავტომანქანების პერსონალური გადანაწილება (მათ შორის – ავტომანქანის მოდელი) თანამდებობის პირებზე ან ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე;

ი) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი და ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი (მათ შორის – საწვავის ტიპი) 2011 წლის პირველის კვარტლის (სამი თვე) განმავლობაში;

კ) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა 2011 წლის პირველი კვარტლის (სამი თვე) განმავლობაში;

ლ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო;

მ) საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია;

ნ) სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი);

ო) სამინისტროს ადმინისტრაციის (ცენტრალური აპარატის) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასების და დანამატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

პ) სამინისტროს სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და დანამატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

ჟ) სამინისტროს ცენტრალური აპარატრის თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) დარიცხული პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

რ) სამინისტროს სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) დარიცხული პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე) (ს.ფ. 14-21);

4.2. ვინაიდან მოპასუხეს მოთხოვნილი ინფორმაცია კანონით დადგენილ ვადაში არ გაუცია, მოსარჩელემ 2011 წლის 9 ივნისს ადმინისტრაციული საჩივარი წარუდგინა მინისტრს, იმავე მოთხოვნებით, რაც წარმოადგენს წინამდებარე სასარჩელო დავის საგანს. ადმინისტრაციული საჩივარი კანონით დადგენილი წესით განხილული არ ყოფილა (ს.ფ. 22-31);

4.3. სარჩელი წარმოდგენილ იქნა სასამართლოში 2011 წლის 5 აგვისტოს (ს.ფ. 1-13);

4.4. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 08.11.2011წ. №2/03-10717 წერილით „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" დირექტორს ეცნობა, რომ სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომელთაგან განცალკევებით თანამდებობის პირთა მიერ ბიუჯეტიდან გახარჯული საერთო თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაციის ცნებას არ მოიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის დეფინიცია. კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს, დაამუშაოს, შექმნას ან შეინახოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია სხვა თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციისაგან განცალკევებულად. შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ცალკე არ ახდენს დეფინიცირებას თანამდებობის პირზე თუ სხვა საჯარო მოსამსახურეზე იქნა გაცემული ხელფასი, დანამატი, პრემია, საწვავის ლიმიტი, სატელეკომუნიკაციო თანხა და სხვა.

რაც შეეხება სამინისტროს მიერ 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების შესახებ ინფორმაციას,

ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტს ეცნობა, რომ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 54-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლებელია მეორე კვარტალის შესრულების ბალანსის/ანგარიშის წარმოდგენა, რადგან სამინისტრო, სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების ანალოგიურად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს (ბალანსი) ადგენს და ხაზინაში წარადგენს ნაზარდი ჯამით ყოველი კვარტლის ბოლოს და არა მე-2 კვარტალის, ან მე-3 კვარტალის მდგომარეობით.

განმცხადებელს მიეწოდა ინფორმაცია სამინისტროში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე ჯამურად, 2011 წლის მეორე კვარტალის შრომის ანაზღაურების (ხელფასი, პრემია), საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტიური ხარჯების, სატელეფონო საუბრებზე გაწეული ხარჯის, ავტოტექმომსახურებაზე გაწეული ხარჯის, საგანმანათლებლო ღონისძიებაზე გაწეული ხარჯის, სამივლინებო ხარჯების შესახებ. კერძოდ, სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 534 ერთეულს, შტატგარეშე მოსამსახურეების - 7 ერთეულს; გაცემული ხელფასებისა და პრემიების ოდენობა - 1225845 ლარი; საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯი - 4648,91 ლარი; ავტოტექმომსახურებაზე გაწეული ხარჯი - 10076 ლარი; საგანმანათლებლო ღონისძიების, კერძოდ - თანამშრომელთა ტრენინგების ხარჯები - 1760 ლარი; სამივლინებო ხარჯების საერთო რაოდენობა - 9688 ლარი; სამინისტროს საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე ირიცხება შემდეგი ავტომანქანები: Toyota Land Cruizer - 3 ერთეული, Skoda Octavia - 11 ერთეული, Volkswagen Passat CC, Toyota Camry, Audi A8, Toyota Hight Lux, Mercedes-Benz - 4 ერთეული. სამინისტროს ბიუჯეტიდან განხორციელებულ პროექტებზე ხარჯები არ არის გაწეული; სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს თეიმურაზ რიჟამაძე (საკონტაქტო ტელ. 2312747 (127))
ინფორმაცია სამინისტროს მიერ 2011 წლის მეორე კვარტალის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების შესახებ განთავსებულია ელექტრონულ მისამართზე www.spa.ge (ს.ფ. 77-79);

4.5. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge) განთავსებულია ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის (მათ შორის - მოპასუხე სამინისტროს) მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული ყველა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ინფორმაცია.

სამართლებრივი დასაბუთება

4.6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის ,,მ" ქვეპუნქტი განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ცნებას. კერძოდ, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

სააპელაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

4.7. პალატა არ იზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ზაკ–ის მე–40 მუხლის საფუძველზე, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია მოთხოვნილი სადავო ინფორმაციის დამუშავება-გაცემის ვალდებულება. პალატა განმარტავს, რომ საჯარო ინფორმაციას უნდა გააჩნდეს მატერიალური ხასიათი და დაცული უნდა იყოს საჯარო დაწესებულებაში, ამასთან, მისი ამ სახით მოძიებისა და შექმნის ვალდებულება უნდა გააჩნდეს კონკრეტულ საჯარო დაწესებულებას. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებას არ ეკისრება ახალი დოკუმენტის შექმნის, თარგმნის და ა.შ. ვალდებულება. აღნიშნული გულისხმობს მხოლოდ სხვადასხვა მოთხოვნილი დოკუმენტის მოძიებას, კლასიფიკაციას, სისტემატიზაციას და ა.შ.

საქმის მასალების თანახმად, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 08.11.2011წ. №2/03-10717 წერილით აპელანტის მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მას მიეწოდა საჯარო დაწესებულებაში არსებული ის ინფორმაცია, რომელიც რეალურად არსებობდა მოთხოვნის მომენტისათვის და არ იყო შესაქმნელი. სააპელაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დავის საგანს წარმოადგენს არა ადმინისტრაციული ორგანოს დავალებულება ინფორმაციის შექმნაზე, არამედ უკვე არსებული, შექმნილი ინფორმაციის გაცემის დავალება, მაშინ როდესაც მოპასუხესთან ასეთი ინფორმაცია მოთხოვნილი სახით დაცული არ არის. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს გასცეს მასთან დაცული ინფორმაცია, ინფორმაციის მოთხოვნილი ფორმით მიწოდების შეუძლებლობის შემთხვევაში, ის წარედგინება იმ სახით, რომელიც არსებობს ადმინისტრაციულ ორგანოში. ინფორმაციის არ არსებობა წარმოადგენს მის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატა მიუთითებს ,,ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლზე, რომლის შესაბამისად, რეესტრის სუბიექტს უფლება აქვს, მის მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზაში, რეესტრში, ინფორმაციულ სისტემასა და

მომსახურების გაწევის პროცესში შეაგროვოს (დაამუშაოს) მხოლოდ ისეთი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად, ან მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემების ამგვარი დამუშავება უშუალოდ გათვალისწინებულია ნორმატიული აქტით.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 08.11.2011წ. №2/03-10717 წერილით აპელანტს განემარტა, რომ კანონმდებლობაში არ არის ნორმა, რომელიც საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს, დაამუშაოს, შექმნას ან შეინახოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია სხვა თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციისაგან განცალკევებულად. შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ცალკე არ ახდენს დეფინიცირებას თანამდებობის პირზე თუ სხვა საჯარო მოსამსახურეზე იქნა გაცემული ხელფასი, დანამატი, პრემია, საწვავის ლიმიტი, სატელეკომუნიკაციო თანხა და სხვა.

სააპელაციო სასამართლო ასევე ეთანხმება საქალაქო სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ მოსარჩელის მიერ ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა ისეთი სახით, რაც გულისხმობდა მოპასუხის მიერ მზა სახით არარსებული ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას და მოძიებული მონაცემების სინთეზის გზით ახალი დოკუმენტების შექმნას, ამასთან - ისეთ პირობებში, როდესაც არ არის დასაბუთებული ასეთი სახით ინფორმაციის დამუშავების აუცილებლობა მოპასუხის მიერ თავისი ფუნქციის შესრულებისათვის, აგრეთვე - არც მოპასუხის საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები ითვალისწინებს ამგვარი დამუშავების ვალდებულებას, შესაბამისად, სადავო ინფორმაციის გაცემაზე მოპასუხის უარი არ ეწინააღმდეგება კანონს, რის გამოც არ არსებობს ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი კანონისმიერი პირობა.

პალატა აპელანტის ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილის საჯაროობა (ხელმისაწვდომობა) უზრუნველყოფილია სხვა საშუალებებით, კერძოდ, ინტერნეტ გვერდებით.

4.8. რაც შეეხება აპელანტის მოთხოვნას მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სააპელაციო პალატა ეთანხმება საქალაქო სასამართლოს მსჯელობას აღნიშნულ ნაწილში მოთხოვნის უსაფუძვლობის შესახებ და დამატებით აღნიშნავს შემდეგს:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დადგენილია, რომ პირს აქვს უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება: ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას; ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის; გ)

პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისას, აგრეთვე მათი სხვა პირისა ან საჯარო დაწესებულებისათვის უკანონოდ გადაცემისას; დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

მორალური ზიანის დადგომა, ასეთი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უნდა უკავშირდებოდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევათაგან რომელიმეს; კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაცული საჯარო ინფორმაციის გაუცემლობა (ან დაგვიანებით გაცემა) უნდა იწვევდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული სიკეთის (სახელი, პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია) ხელყოფას დაიტერესებული პირის საზიანოდ, რასაც მოცემულ სადავო შემთხვევაში ადგილი არ აქვს; მარტოოდენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არ წარმოადგენს საკმარის სამართლებრივ საფუძველს იმისთვის, რომ პირმა სასურველი საჯარო ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუღებლობის გამო მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება;

შესაბამისა, პალატა იზიარებს საქალაქო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გამო ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მოსარჩელეს ინფორმაციის გაცემაზე უკანონოდ ეთქვა უარი და ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანის დადგომა. არც ერთი მითითებული კომპონენტი სახეზე არ არის: მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარი კანონიერია, ამასთან - არ დგინდება მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის არსებობის ფაქტიც, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა.

4.9. დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება და მოსარჩელის მიერ ვერც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, იმ გარემოებების დასადგენად, რომ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33^1-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები სარჩელის დაკმაყოფილებისათვის.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

5.1. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

6. საპროცესო ხარჯები

6.1. აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილია 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი

იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 383-ე, 386-ე, 390-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

დაადგინა:

1. არასასმეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში.

თავმჯდომარე	ნ. ჭიჭილეიშვილი
მოსამართლეები	თ. ძიმისტარაშვილი
	მ. ლომიძე